ზევით ასწიეთ მზე, ზევით!

მზეს შევნატროდით, ვკვნესოდით,
ცრემლს ვღვრიდით შუაღამისას,
მხიარულება არ ჰქონდა
დაწყვეტილ სიმებს ჩანგისას.
მზეს შევნატროდით, მზე გვსურდა,
მზე ცხოველსხივებიანი,
თავისუფალი, ძლიერი,
ახალი – განგებიანი.
მზეს შევნატროდით და ისიც
გაბრწყინდა სასაფლაოზე,.
დისკო– გადახრით აენთო
წყვდიადით მოცულ ქაოსზე.
ხელი ვკართ... ისევ ისევე
ცრემლებს ვღვრით შუაღამისას,
ისევ დუმილი ამწუხრებს
დაწყვეტილს სიმებს ჩანგისას.
მზეო, დაუდე საზღვარი
მწუხარე ფიქრთა ქროლასა,
"მზეო, ამოდი, ამოდი,
ნუ ეფარები გორასა".
უსასოობა, სიკვდილი
ნადგურდება და იხრწნება,
სადაც კი შენი დიადი
ბორბალი ამობრწყინდება.
მორს ჩვენგან, ღამის წყვდიადო,
შორს, შორს, ბურუსო გრძნეულო,
თვალის ამხვევად შექმნილო
და ბორკილებად ქცეულო.
ჩვენ მზე გვსურს... ხალსო, შეერთდით,
ზევით ასწიეთ მზე, ზევით!
მის აღდგომასთან მნათობის
სხივებად გადავიქცევით!
1910